# შიდა ქართლის რწმუნებულმა სამხარეო ადმინისტრაციაში შეხვედრა გამართა

17 მარტი 2021

მამუკა საღარეიშვილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროზე დაქვემდებარებულ რეგიონული სააგენტოების ხელმძღვანელებს შეხვდა. შეხვედრას რწმუნებულის მოადგილეებიც დაესწრნენ.

სააგენტოების წარმომადგენლებმა რწმუნებულს მათი საქმიანობის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს. ასევე, სამუშაო შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის მიმართულებით რეგიონში არსებული ვითარება განიხილეს. ისაუბრეს იმ გამოწვევებსა და მნიშვნელოვან საკითხებზე, რაც მუნიციპალიტეტებში არსებობს და იმსჯელეს მათი მოგვარების გზებზე. საღარეიშვილის თქმით, სააგენტოებისა და სამმართველოების აქტიური ჩართულობა რეგიონში მიმდინარე პროცესებში მეტად მნიშვნელოვანია. შეხვედრის ბოლოს მხარეები კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობაზე შეთანხმდნენ და სამომავლო გეგმებიც დასახეს.